საქართველოს შეიარაღებული ძალების
გენერალური შტაბის უფროსის
ბრძანება N MOD 7 16 00000817
2016 წლის 12 ნოემბერი, ქ.თბილისი

შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების რეორგანიზაციისა და საშტატო ოპტიმიზაციის საკითხთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020" სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების რეორგანიზაციისა და საშტატო ოპტიმიზაციის მიზნით,

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) სამუშაო ჯგუფის უფროსი - შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე; *(N MOD 0 16 00000847; 25/11/2016)*

ბ) **სამუშაო ჯგუფის წევრები**:

ბ.ა) J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსი;

ბ.ბ) J-2 დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი;

ბ.გ) J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი;

ბ.დ) J-4/8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი;

ბ.ე) J-5/9 სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი;

ბ.ვ) J-6 კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ბ.ზ) J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის უფროსი;

ბ.თ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი.

2. სამუშაო ჯგუფის მდივნის ფუნქცია განახორციელოს, J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტიდან გამოყოფილმა წარმომადგენელმა.

3. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურული ქვედანაყოფების რეორგანიზაციისა და საშტატო ოპტიმიზაციის საკითხის განხილვა და შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის.

4. სამუშაო ჯგუფმა მუშაობა დაიწყოს 2016 წლის 14 ნოემბრიდან.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი

გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე